

## ანოტაცია

**თემის აქტუალობა.** ნაშრომი წარმოადგენს მდინარე ალაზნის აუზის სტიქიური პროცესების გის ანალიზის მცდელობას. რის შემდეგაც, მდინარე ალაზნის აუზის სტიქიურ პროცესებზე დაკვირვებითა და ანალიზზე დაყრდნობით, ცდილობს გამოავლინოს სტიქიური პროცესებით მიყენებული ზიანის აღმოფხვრის გზები.

არსებული პრაქტიკით, ათწლეულების მანძილზე პროცესებზე დაკვირვებასა და შესაბამისი რუკების შედგენას იშვიათად თუ გამოუღია შედეგი. ვინაიდან პრობლემის ჯეროვანი გაანალიზება დიდ დროს მოითხოვს. გის სისტემები კი, გვაძლევს საშუალებას დავინახოთ პროცესების წარმართვის რეალური სურათი და ჩავატაროთ შესაბამისი ქრონომეტრაჟული ანალიზი, შემდეგ სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით: ღვარცოფები, მეწყრები, წყალმოვარდნები და სხვა. რაც, თავის მხრივ დაგვეხმარება სტიქიური პროცესების პროგნოზირებაში და მათ მიერ მიყენებული ზარალის მინიმიზაციის გზების დაგეგმვა-განსაზღვრაში. შესაბამისად, გის სისტემის დახმარებით ბევრად სწრაფად და მარტივად არის შესაძლებელი დასმული პრობლემის გადაწყვეტის გზების მოძიება.

**მიზანი და ამოცანები.** ნაშრომის მიზანია მდინარე ალაზნის აუზის ტერიტორიაზე სტიქიური პროცესების გავრცელების ასახვა, რის საფუძველზეც უნდა შეიქმნას გეომორფოლოგიური რუკები ფერდობთა დახრილობისა და მათი ექსპოზიციების; რაც საბოლოოდ საშუალებას მოგვცემს, მოვახდინოთ სტიქიური პროცესების მოსალოდნელი განვითარების კონკრეტული პროგნოზები.

**კვლევის ობიექტი.** მდინარე ალაზნის აუზი.

**კვლევის შედეგები.** საველე და კამერალური კვლევის შედეგად მოხდა სტიქიური პროცესების აქტიური და საშიში ტერიტორიების გამოვლენა. შედგა სტიქიური პროცესების რუკა და გამოიყო მეტად ღვარცოფსაშიში მდინარეები. რომელზედაც დაყრდნობით დაისვა პრობლემის გადაჭრის გზები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იყოს სახელმწიფო ორგანოების მიერ.